პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 აგვისტო, სამშაბათი, 1989 წ.
№ 152 (10 071) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



გოგი კოლუაშვილი



ნაიბი დვალიძე

## იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

# გაგიმარჯოთ, ბიჭებო!

**წლეულს** წარმატებებით გვახარებენ ჩვენი ახალგაზრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეები, ახლაც სეზონის ყველაზე სასიამოვნო ცნობას მოგაწვდით მათ შესახებ: ბუდაპეშტში, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედლები დაისაკუთრეს ქუთაისელმა გოგი კოლუაშვილმა („დინამო“, ასკ) და თბილისელმა ნაიბი დვალიძემ (ასკ). კოლუაშვილი 90 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, ხოლო დვალიძემ მომდევნო წონაში (100 კგ) აჯობა ყველა მეტოქეს. გოგი კოლუაშვილისა (მწვრთნელები ჯემალ კოსტავა და ვიტალი ალავიძე) და ნაიბი დვალიძის (მწვრთნელი თემურ ყაზარაშვილი) შესანიშნავი წარმატებები იმის ნიშანიც არის, რომ კლასიკური ჭიდაობა ჩვენში პოზიციებს იბრუნებს.

ბუდაპეშტში სსრ კავშირის კიდევ სამი ათლეტი გახდა ჩემპიონი. ესენი არიან: ულიანოვსკელი ნაზიმ შამსუტდინოვი (52 კგ), მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ოლეგ ბალამუტოვი (82 კგ) და კიშინიოველი სერგეი მურეიკო (130 კგ). ვერცხლის მედალი მოიპოვა ერევნელმა არმენ ტომასიანმა (48 კგ), ბრინჯაოსი — მოსკოველებმა კამო ამბარცუმოვმა (57 კგ) და არკადი ცრაინიმ (74კგ), აგრეთვე კიშინიოველმა ოლეგ ტოკარევმა (68 კგ). საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდურ პირველობაში 50 ქულა მოაგროვა და 26 ქულით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ბულგარეთის გუნდს.

## გაიმარჯვეს საბჭოთა დიდოსტატებმა

**შვეიცარიის** ქალაქ ბილში საბჭოთა დიდოსტატების გამარჯვებით დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. ვასილი ივანჩუკმა და ლევ პოლუგაევსკიმ 9-9 ქულით I-II ადგილები გაიყვეს. მესამე იყო იუგოსლაველი ივან სოკოლოვი — 8 ქულა.

# მხარს ვუჭერთ!

**კარგ** საქმეს ეყრება საფუძველი — საქართველოში მიმდინარეობს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის მოსამზადებელი მუშაობა. კმაყოფილებით წავიკითხეთ „ლელოში“ აგრეთვე ჩვენი მეგობრების — ოქროს ოლიმპიელების წერილიც — შევქმნათ თბილისში ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი. მართლაც საშური საქმეა, საქართველოში ხომ ბევრი „ოლიმპიონიკი“ — თამაშების ოქროს მედლის მფლობელი გვყავს, თუ არ ჩავთვლით შესანიშნავ ფალავანს არსენ მეკოკიშვილს, რომელიც იმხანად მოსკოვში ცხოვრობდა და მისი სახელით გამოდიოდა.

ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს ამ საინტერესო, კეთილ თაოსნობას — საქართველოს ოლიმპიელთა კლუბის შექმნას!

ოლიმპიური ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები:

მირიან ცალქალამანიძე, (მელბურნი, 1956);
რაფაელ ჩიმიშკიანი, (ჰელსინკი, 1952 წ.);
ნუგზარ ასათიანი, ვაჟა კაჭარავა (ტოკიო, 1964).

# საქართველო მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში




აქვე გთავაზობთ საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სტრუქტურულ სქემას. სოკ-ი (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი), სოა (საერთაშორისო ოლიმპიური აკადემია), ეოკა (ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაცია), ეეოკ-ი (ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები), ოკ-ი (ოლიმპიური კომიტეტი), ეოკ-ი (ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი).

# ლიდერობს დიანა დარჩია

**როგორც** ეს არაერთხელ მომხდარა, საკდესის კორესპონდენტებმა კვლავ უაღრესად მწირი მასალა მოგვაწოდეს, საიდანაც ვგებულობთ, რომ 12 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობას ლიდერობს ბათუმელი დიანა დარჩია. სხვა ჩვენს მოჭადრაკეებზე იმ ცნობაში არაფერია ნათქვამი და ამიტომაც ჯერჯერობით მხოლოდ ეს ინფორმაცია უნდა ვიკმაროთ.

# ახალი აღიარება

**სულ** ახლახან ფიდე-ს საკვალიფიკაციო კომიტეტმა საერთაშორისო დიდოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის საპატიო წოდებები მიანიჭა მოჭადრაკეთა დიდ ჯგუფს. მათ შორისაა ახალგაზრდა თბილისელი ლაშა ჯანჯღავა, რომელიც ამიერიდან საერთაშორისო ოსტატია.

# თბილისის „დინამო“ ინგლისში

**სსრ კავშირის** საფეხბურთო ჩემპიონატში 26 აგვისტომდე შესვენებაა. ამ შუალედში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ამხანაგური მატჩების გასამართავად ინგლისს გაემგზავრა. თბილისელებს იქ ორი შეხვედრის ჩატარება აქვთ განზრახული.

# მხოლოდ მეორე ადგილზე

**დიდი** ბრიტანეთის მძლეოსან ვაჟთა ნაკრებმა ისტორიაში პირველად გაიმარჯვა ევროპის თასის გათამაშებაში. ეს შეჯიბრება ინგლისის ქალაქ გეისტჰედში ჩატარდა და მასპინძლებმა ძალა არ დაზოგეს გამარჯვებისთვის. მათ საბოლოოდ 114 ქულა მოაგროვეს და უკან ჩამოიტოვეს ასპარეზობის ფავორიტი, საბჭოთა კავშირის გუნდი (107). გდრ-ის კოლექტივი III ადგილზე გავიდა — 103.

ქალთა შეჯიბრებაში აშკარა იყო გდრ-ის წარმომადგენელთა უპირატესობა, რომლებმაც 130 ქულით მტკიცედ დაიკავეს პირველი ადგილი, მთელი 25 ქულით გაუსწრეს საბჭოთა მძლეოსნებს. პროგრამის 16 სახეობიდან გამარჯვებული გუნდის წევრებმა 11 მოიგეს, მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ანგარიშზე მხოლოდ ერთი გამარჯვებაა.

ევროპის თასზე პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო თასის გათამაშებაში, რომელიც 8-10 სექტემბერს ბარსელონაში გაიმართება.

# მუშათა პირველი საკავშირო...





**ეს** თავყრილობა მონაწილეთა სიმრავლით არ ჩამოუვარდება ყველაზე მასობრივ კომპლექსურ ღონისძიებებს, რომელიც დღემდე საკავშირო მასშტაბით გამართულა. ოღონდ იგაა, აქ შეჯიბრების მონაწილენი რეკორდებისთვის და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მაღალი სპორტული შედეგებით ვერ მოიწონებენ თავს. არცაა გასაკვირი, სტარტზე ხომ მუშები — ბრიგადები და ოჯახები გამოდიან. მაგრამ მონაწილეთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც შეჯიბრებას თავიანთი პროდუქციის რეკლამისთვისაც იყენებენ. მაგალითად, თბილისის საავიაციო ქარხნის ბრიგადამ ველოსპორტში შეჯიბრება გადაწყვიტა... საკუთარი ხელით დამზადებული ახალი მოდელის ველოსიპედით: „ივერია“ (ასე ჰქვია ახალ მოდელს) სპარტაკიადაზე უმალვე საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ ველოსიპედზე ბრიგადამ იქვე მიიღო შეკვეთები. როგორც გვითხრეს, „ქართულ ველოსიპედზე“ დიდი მოთხოვნილებაა იაპონიიდანაც. ველოსიპედი ქუჩაში მოძრაობისთვისაა მოსახერხებელი.

ზედა სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის საავიაციო ქარხნისა და ჰოლანდიის მუშა ფეხბურთელთა გუნდებს ამხანაგური მატჩის შემდეგ. ეს შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 2:0.

„ლელოს“ სპეც. კორ.



ეროვნული

ვიდრე სასწავლო წელი დაიწყებოდეს

# ჭადრაკი, შაშები — მასწავლებელთა სპორტული სეზონი

**უკვე** მეოთხე წელია ხარაგოულის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები სასწავლო წლის დაწყების წინ ერთმანეთს ეჯიბრებიან შაშსა და ჭადრაკში, რომელსაც ამჯერად ხარაგოულის კულტურისა და დასვენების პარკმა (დირექტორი ე. სეზიხკვერაძე) უმასპინძლა.

ჭადრაკში ვაჟთა შორის 30 ქულით I ადგილი დაიკავა სოფელ ლაშის საშუალო სკოლის სიმღერის მასწავლებელმა გივი ხარატიშვილმა, ქალთა შორის კი 25 ქულით პირველობა არავის დაუთმო ამავე სკოლის ქიმიის მასწავლებელმა ნათელა აბესაძემ.

შაშში 28 ქულით გაიმარჯვა სახალხო განათლების წარჩინებულმა, კიცხის საშუალო სკოლის დირექტორმა თემურ ქურციკიძემ. ქალთა შორის ყველას აჯობა ზვარის საშუალო სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ლია ცისკაძემ (23 ქულა).

**გოჩა ხარატიშვილი,**
„ლელოს" კორ.

# „ოცნება" — ბავშვთა სიხარული

**პაპანაქება** სიცხეა, მაგრამ ხარაგოულის რაიონის სოფელ ზვარეში, სადაც პიონერთა და მოსწავლეთა ბანაკ „ოცნებას" გაუშლია კარვები, სასიამოვნოდ გრილა. აქ შეკრებილან ქუთაისელი, ზესტაფონელი, ხაშურელი, თერჯოლელი, წყალტუბოელი და სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსწავლეები. აქვე კვლავ ისვენებენ იაკუტიის ასსრ-დან ჩამოსული ნორჩები, რომლებთანაც ხარაგოულელებს 20 წლის მეგობრობა აკავშირებთ.

იმართება ვიქტორინები, შეხვედრები, ტურისტული ლაშქრობები, იუმორის საღამოები, დისპუტები. დამსვენებელთა განკარგულებაშია კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის კეთილმოწყობილი მოედნები; ეწყობა შეჯიბრებებიც. ფეხბურთში I ადგილი დაისაკუთრა წყალტუბოს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდმა, II — ხარაგოულის ნაკრებმა, ხოლო ქუთაისელები III ადგილზე გავიდნენ.

ფრენბურთში I ადგილი არავის დაუთმეს ზესტაფონელებმა. მეორეზე ხაშურელი, ხოლო მესამეზე ხარაგოულელი მოსწავლეები გავიდნენ.

მალე მოსწავლეები შინ დაბრუნდებიან და თან გაჰყვებათ ერთმანეთის სიყვარული და მოგონებები ბანაკში გატარებულ მხიარულ დღეებზე.

„ლელოს" კორ.
სოფ. ზვარე, ხარაგოულის რაიონი.



**თბილისის** ფიზკულტურის ტექნიკუმში მიმდინარეობს მისაღები გამოცდები. სურათზე, რომელიც ამ დღეებში ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო, აღბეჭდილია გამოცდა სპეციალობაში. თქვენ ხედავთ ძიუდოისტთა ორთაბრძოლას, რომელსაც თვალს ადევნებენ მისაღები კომისიის წევრები.



# ღია წერილი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ხუან ანტონიო სამარანჩს!

სენიორ სამარანჩ!

ეს არის ჩემი რიგით მესამე, მაგრამ ამჯერად ღია, „საჯარო" წერილი თქვენს სახელზე!

პირველ წერილში 1979 წელს მე შემოგთავაზეთ ისტორიული, პოლიტიკური და, მით უმეტეს, სპორტული თვალსაზრისით ელემენტარულად სადი აზრი იმის თაობაზე რომ:

— თუკი ოლიმპიური ცეცხლი არის საყოველთაო-საკაცობრიო სიმბოლო დედამიწაზე მოსახლე ერებს შორის ძმობის, ურთიერთპატივისცემისა და სიკეთისა, ადამიანის სხეულის სილამაზისა და ძალის კეთილშობილური ზეიმისა, მაშინ ეს ცეცხლი ერთხელ მაინც უნდა აგიზგიზდეს იმ ქვეყანაში, სადაც ელინთა ფანტაზიამ თუ მართლა ღმერთების რისხვამ მიუვალი მწვერვალის კედელს მიაჯაჭვა კაცობრიობის ურაინდესი რაინდი პრომეთე ამ ცეცხლის ღმერთთაგან მოტაცებისა და ადამიანთა მოდგმისათვის მიძღვნისათვის...

არამარტო პრომეთესა და საქართველოს უდიდესი ისტორიული წარსულის „ავტორიტეტით" გთავაზობდით ამ იდეას!

მე გწერდით, რომ საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის ხალხთა უამრავი ღირსეული შვილის მკერდს ამშვენებს ოლიმპიური, მსოფლიო თუ ევროპული ჩემპიონატების ოქროს მედლები და მათგან სწორედ ჩემს ქვეყანას, საქართველოს გთავაზობდით მთავარ მასპინძლად (რაც მას უეჭველად ეკუთვნის გრანდიოზული ისტორიის, ღირსეული კულტურისა და უმაღლესი სპორტული ტრადიციების გამო).

და, როგორც „წესად" მოსდგამს ჩემს პროფესიას და მოწოდებას, მე წარმოგიდგინეთ კიდეც სარეჟისორო გეგმა ოლიმპიური ცეცხლის მოგზაურობისა „არგოთი" ფაზისამდე და შემდგომ ჩვენი ზვიადი მთის — უშბის მწვერვალამდე (ქართველთა ფანტაზია სწორედ უშბას გულისხმობს მიჯაჭვის ადგილად), სადაც ოლიმპიურ ცეცხლს დახვდებოდა პრომეთეს ქანდაკება — ზეალმართული ჩირაღდნით, და... და ასე შემდგომ — თბილისამდე!

დიახ, სენიორ, კავკასია და საქართველო, კაცმა რომ თქვას, ელინთა შემდეგ არცთუ „შორს" უნდა იდგეს ოლიმპიადის მასპინძლობის პრეტენდენტთა რიგში!

პირიქით, მას ისტორიამ და ლეგენდებმა მიანიჭეს ერთ-ერთი საპატიო ადგილი. მე მალე მომივიდა ცნობა, რომ ჩემმა ბარათმა მოაღწია თქვენამდე! მეტიც, ჩვენმა საერთო მეგობრებმა ისიც მაცნობეს, რომ თქვენ იმდენად მოგწონებიათ იდეა კავკასიური ოლიმპიადისა, მის თაობაზე ...„კბილიც კი მოგისინჯავთ" პირად საუბარში „ცენტრისთვის"!

შედეგს ისედაც მიხვდებოდა ჩემნაირი უბირი კაციც კი, მაგრამ მე მაინც მომახარეს, რომ ამ „მოსინჯვას" იქვე დაახვედრეს ჯადოსნური სიტყვა „ნეცელესოობრაზნოსტ", რასაც მავანნი უნივერსალურ მალამოდ დაადებენ ხოლმე უამრავ ჩვენებურ სატკივარს.

გამოხდა ხანი თქვენი საჯარო გამოხმაურების მოლოდინში (ვაღიარებ, რომ ჩვენ, ქართველებს, ხშირად გვჭირს მიამიტური „ამბიციების" სენი!). და აი, როცა კენჭისყრის შედეგად 1992 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უდიდესი პატივი ღმერთმა არგუნა თქვენს მშობლიურ ბარსელონას, მე იქვე გაახლეთ მეორე ბარათიც, სადაც მართლაც გულწრფელად გილოცავდით მომავალ ტრიუმფს (თუმცა კი მაშინაც ვიცოდი, რომ ბასკი ბრძანდებოდით) და იქვე კვლავაც დავსძენდი, რომ ღვთისა და კაცობრიობისაგან ასე ხშირად მივიწყებული კავკასიის იბერიისათვის ისიც უდიდესი პატივი იქნებოდა, თუ მსოფლიოს სპორტული საზოგადოება (თუმცა, რატომ მარტო სპორტული?!) თქვენივე პირით შეიტყობდა კავკასიის ოლიმპიური თამაშების იდეის არსებობის შესახებ.

დღევანდელ მსოფლიოში თქვენ უეჭველად ერთ-ერთი ყველაზე ტაქტიანი და შორსმჭვრეტელი მოღვაწე ბრძანდებით და მე მხოლოდ ჩვენი საფოსტო უწყებების მოუქნელ მუშაობას თუ მივაწერ, რომ თქვენმა პასუხებმა დღემდე ვერ მოაღწია ჩემამდე (მით უმეტეს, პირველ ბარათზე მე, ასე ვთქვათ, შეგნებულად არ დავაწერე ჩემი ბინის ზუსტი მისამართი!).

სამაგიეროდ აი, ხელთა მაქვს ჩვენი სპორტული გაზეთის „ლელოს" ცინცხალი ნომერი, რომელიც გვაუწყებს, რომ, დიდი და რეალური იმედების მიუხედავად, საქართველოს — ბაკურიანს — უარი ეთქვა 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატთა პაექრობაში მონაწილეობაზე და,... გამოგიტყდებით — გულზე მომეშვა!

„მომეშვა", ვინაიდან კავკასიის ოლიმპიური თამაშების იდეა „საზამთროდ" არამც და არამც არ მემეტებოდა!!!

დაილოცოს ეს ჯადოსნური სიტყვები — „ნეცელესოობრაზნოსტ", რომლის მოხმობაც ალბათ სულაც არ იყო საჭირო სსრ კავშირის ეოკ-ში ფარული კენჭისყრის დროს, როცა რსფსრ-ს თითქმის სამჯერ მეტი ხმა ჰქონდა, რამდენიც ყველა სხვა რესპუბლიკას ერთად აღებულთ!..

არადა, თითქოს ენამ მიყივლა, ვინაიდან „სოჩი", კრასნოდარს და რუსეთის ფედერაციას კი ეკუთვნის, მაგრამ ტრადიციული გეოგრაფიის ნომენკლატურით მაინც კავკასიაა და, თანაც, სახელის წარმომავლობაც ქართული აქვს („სოჭი" — ასე ერქვა ამ დასახლებას, ელინურ ხანას რომ ეძახიან, იმ დროიდან მოყოლებული) და თუ მან საბოლოოდ გაიმარჯვა, შეიძლება გამარჯვებამ მოგვიახლოვოს კიდეც ეს ჩემს მიერ აკვიატებული „კენჭი" ზაფხულის კავკასიური ოლიმპიური თამაშებისა — ცენტრით... თბილისში, რომელიც ცარიზმამდე და ცარიზმის შემდგომაც ყოველთვის ითვლებოდა კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად!

მაგრამ, ვაითუ სოჭის ოლიმპიურმა თამაშებმა მთელი საუკუნით გაყინოს ზაფხულის კავკასიური თამაშების ყოველგვარი იმედის ყლორტი?!

მაშინ, რაღა გაეწყობა და ისღა გვრჩება იმედად, საქვეყნოდ გვანუგეშოთ, რომ ზუსტად (?) აღასრულეთ სპორტზე იბერიელ ქომაგთა ოცნება და სოჭში დანთებულ ოლიმპიურ კოცონზე ზურგის თუ მკერდის მიფიცხების უფლება ექნება ყველა აზორიგენ თუ მოაზორიგენო ჩოხიან კავკასიელს!

და მათ შორის, რა თქმა უნდა ჩვენც...

ქართველებს, რომელთა ავტორიტეტისა და პოპულარობის ძირითადი წყარო დღეს, სამწუხაროდ, არის არა მძლეთამძლეობის, ანუ ჩემპიონობის ოქრო, არამედ უბედურებისა და ტრაგედიის „თალხი"!

მაგრამ სამი ათასი წელიწადიც ასევე იყო მორიგეობა „თალხისა" და „ოქროსი", რწმენისა და სასოწარკვეთისა!

ამიტომ, ჯერჯერობით, დაე, მხოლოდ მე მასულდგმულებდეს რწმენა, რომ უშბაზე ოლიმპიური ცეცხლის დანთება არამარტო ჩემი ნატვრაა!

იგი ღმერთებმა და ოლიმპიური მოძრაობის იდეებმა გვიბოძეს და კაცობრიობის მიერ ამ რწმენის გაზიარებას არა მგონია თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა ხელი არ შეუწყოთ!

პატივისცემით და რწმენით
**ლერი სიხარულიძე**
კინორეჟისორი.
თბილისი, 6 აგვისტო, 1989 წელი.

# კლუბს ჰყავს მოამაგენი

**ცხოვრებამ** დაგვარწმუნა, რომ ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი პერსპექტიული ფორმაა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სპორტული კლუბების გახსნა.

სწორედ ამ საქმეს ემსახურება წარსულში ცნობილი ფალავნის ესტატე ქარქუსაშვილის სახელობის საჭიდაო კლუბი „ვაზისუბანიც". ეს კლუბი თბილისის ვაზისუბნის დასახლების მიკროსაბჭოსთან დაარსდა ამავე მიკროსაბჭოს თავმჯდომარის ემზარ ჭუმბურიძის თაოსნობით. ჭუმბურიძის თხოვნით მისი ხელმძღვანელობა ვაზისუბანში მცხოვრებმა თავისუფალი ჭიდაობის სპეციალისტმა ვასილ ვალიშვილმა იკისრა. ინიციატივას მხარი დაუჭირა 26 კომისრის რაიონის ალმასკომმაც.

კლუბმა 94-ე სახლმმართველობის სარდაფში დაიდო ბინა. ახლომდებარე სახლების მცხოვრებლებმა და მათმა შვილებმა, მომავალმა სპორტსმენებმა ერთობლივი ძალებით გაწმინდეს სარდაფი სამშენებლო ნაგვისაგან, შეაკეთეს კედლები, იატაკი, ჭერი...

სპორტსაზოგადოება „დინამოს" საქართველოს საბჭომ კლუბის შეფობა იკისრა, შეუძინა მას ინვენტარი, დაეხმარა სამედიცინო პუნქტის, საშხაპეების, საუნის მოწყობაში.

დაარსების დღიდან ამ კლუბში 1500-მდე ბავშვმა და მოზარდმა გაიკაჟა ჯანმრთელობა. მათ შორის იყვნენ ძნელად აღსაზრდელებიც, რომლებიც სპორტის შემწეობით ქუჩას ჩამოშორდნენ.

ამჟამად „ვაზისუბანში" 120-ზე მეტი ბავშვი მეცადინეობს. კლუბი თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალურია, სწავლება კი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, რომელსაც ყველა ბავშვი კარგად ფლობს. მათ თავისუფალი ჭიდაობის საიდუმლოებას აზიარებენ თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების საჭიდაო სკოლის (დირექტორი ელდარ ფარჯანაძე) უფროსი მწვრთნელი ვასილ ვალიშვილი და მისი ძმა, ამავე სკოლის მწვრთნელი ვლადიმერ ვალიშვილი. თვითონ კლუბი ამ სკოლის განაყოფია.





კლუბს უკვე შეუძლია იამაყოს. დღემდე აქ აღიზარდა ხუთი სპორტის ოსტატი: იური ჩქარეული, ვლადიმერ მჭედლიშვილი, სპარტაკ ბალაშვილი, ბესიკ ბურჭულაძე, მიხეილ ჯაფარიძე და ცხრა რესპუბლიკის ჩემპიონი. კლუბის აღზრდილი ვანო ყუშიტაშვილი, მაგალითად, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრია, მიხეილ ჯაფარიძემ კი მოზარდთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში გაიმარჯვა და საქართველოს მთავარ გუნდში მიიწვიეს.

კლუბს ბევრ საკავშირო ტურნირში მიუღია მონაწილეობა და ხშირად ღირსეულ ადგილებსაც იკავებს.

„ვაზისუბანში" ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან. კლუბის ხშირი სტუმარია „ჭიდაობის პროფესორი" ვახტანგ ბალავაძე. ამას წინათ მოზარდ სპორტსმენებს ეწვია ლევან თედიაშვილი, რომელმაც ღია გაკვეთილი ჩაატარა. წასვლისას მან ბავშვებს დაუტოვა „პატარა საჩუქარი" — ერთ-ერთი თავისი ფანდი, რომელსაც გულმოდგინედ ასწავლიან მოზარდებს ვასო და ლადო მასწავლებელი.

ერთი სიტყვით, კლუბს ხელშეწყობა არ აკლია, მაგრამ ზოგი საკითხი ჯერ მაინც მოსაგვარებელია.

— ბავშვები წამოიზარდნენ და სარდაფში ვარჯიში მათთვის უკვე აღარ შეიძლება, თუნდაც სივიწროვის თუ სხვა მიზეზების გამო, — ამბობს ვასილ ვალიშვილი. — კარგი იქნებოდა, ვაზისუბანში აშენებულიყო სპორტული კომპლექსი ან სხვა მსგავსი რაიმე ნაგებობა.

გვაქვს ერთი იდეაც: საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქში არის საჭიდაო კლუბები საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. იქნებ მოგვეწყო ასეთი კლუბების საქალაქთაშორისო ტურნირი?

**ნოდარ შიუკაშვილი,**
ავტორის ფოტოები.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

**გთავაზობთ** სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XXI ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

**„დნეპრი“ — „არარატი“ 4:2 (1:0).** გოლები: იუდინი, სონი, სიდელნიკოვი, ლიუტი („დნეპრი“), მარკოსიანი, ოსიპიანი („არარატი“).

დუბლიორები — 2:1.

**„როტორი“ — „დინამო“ (მინსკი) 2:1 (2:1).** გოლები: ნიკიტინი, პოლსტიანოვი („როტორი“), სოკოლი („დინამო“).

გააფრთხილეს ვოლგოგრადელი ფედოროვსკი და მინსკელი დემიდოვი.

დუბლიორები — 2:2.

**„პამირი“ — „შახტიორი“ 1:0 (0:0).** გოლი: აზიმოვი.

გააფრთხილეს „პამირის“ ფეხბურთელები ზაზდრავნიხი, რაფიკოვი, აგრეთვე, დონეცკელი გოშკოდერია.

დუბლიორები — 2:0.

**„ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ 2:3 (2:1).** გოლები: გეცკო, კონდრატიევი („ჩერნომორეცი“), შმაროვი-2, მოროზოვი („სპარტაკი“).

გააფრთხილეს სპარტაკელი მოროზოვი.

დუბლიორები — 0:2.

**„ზენიტი“ — „ლოკომოტივი“ 1:1 (0:0).** გოლები: ჩუხლოვი („ზენიტი“), რუსიაევი („ლოკომოტივი“).

გააფრთხილეს ლენინგრადელები დანილოვი და პოპელნუხა, აგრეთვე, „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები ბოდაკი და გორლუკოვიჩი.

დუბლიორები — 1:0.

● **განვლილი** ტურის შეხვედრებში შეფასება „2“ დაიმსახურა „ზენიტისა“ და „ლოკომოტივის“ არბიტრმა ვ. ჩეხოევმა (ორჯონიკიძე) და მისმა დამხმარემ ვ. იარიგინმა.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის კვლავინდებურად წინაა მოსკოვის სპარტაკელი ს. როდიონოვი — 14 ბურთი. მეორე ადგილზეა მოსკოვის დინამოელი ე. დობროვოლსკი—10.

● **მოსკოვის** „სპარტაკთან“ მატჩში საკუთარ მინდორზე პირველი მარცხი განიცადა ოდესის „ჩერნომორეცმა“, თუმცა, თამაშის მსვლელობაში იგი ორჯერ იყო წინ. საკუთარ მინდორზე დამარცხება ჯერ არ განუცდიათ მოსკოვის „სპარტაკს“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“.

● **სსრ კავშირის** ჩემპიონატის დაწყებიდან 11-მეტრიანები დღემდე სულ 53 მატჩში დაინიშნა. აქედან 38 პენალტი მასპინძელთა სასარგებლოდ და მხოლოდ 15 — მათს საწინააღმდეგოდ. 53 პენალტიდან 13 არაა რეალიზებული.

● **ჩემპიონატის** მატჩებში მსაჯებმა ფეხბურთელებს 213 გაფრთხილება გამოუტანეს და ერთი მოთამაშე მინდვრიდან გააძევეს. 5 ყვითელი ბარათი დაიმსახურა ლოკომოტიველმა გორლუკოვიჩმა.

● **ლანჩხუთის** „გურიამ“ ტიუმენის „გეოლოგთან“ ფრედ დაამთავრა შეხვედრა — 1:1, ლანჩხუთელთაგან გოლი ფრიდონაშვილმა გაიტანა.

● **I ლიგის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის ლიდერია ქუთაისის ტორპედოელი მ. მეგრელაძე, რომელმაც 16 ბურთი გაიტანა. სტავროპოლის „დინამოს“ თავდამსხმელის ს. ოსიპოვის ანგარიშზეა 14 ბურთი. საუკეთესოთა შორის იმყოფება მ. ქორდანიაც (ლანჩხუთის „გურია“), რომლის ანგარიშზეა 11 გატანილი გოლი.

### გათამაშების ცხრილი

**დუბლიორთა შემადგენლობა**

**მდგომარეობა 8 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 21 | 12 | 7 | 2 | 27-15 | 31 |
| „დინამო“ მნ. | 21 | 13 | 4 | 4 | 41-22 | 30 |
| „სპარტაკი“ | 21 | 12 | 6 | 3 | 43-17 | 30 |
| „დინამო“ კ. | 19 | 12 | 5 | 2 | 34-9 | 29 |
| „ჟალგირისი“ | 21 | 11 | 5 | 5 | 33-14 | 27 |
| „ლოკომოტ.“ | 21 | 10 | 3 | 8 | 33-21 | 23 |
| „დინამო“ მ. | 21 | 10 | 3 | 8 | 37-30 | 23 |
| „ტორპედო“ | 20 | 7 | 7 | 6 | 22-24 | 21 |
| „შახტიორი“ | 21 | 7 | 4 | 10 | 21-29 | 18 |
| „მეტალის.“ | 20 | 6 | 4 | 10 | 20-31 | 16 |
| „დინამო“ თბ. | 19 | 5 | 6 | 8 | 22-29 | 16 |
| „ზენიტი“ | 22 | 6 | 2 | 14 | 21-37 | 14 |
| „პამირი“ | 21 | 4 | 5 | 12 | 18-41 | 13 |
| „როტორი“ | 20 | 3 | 5 | 12 | 13-32 | 11 |
| „ჩერნომ.“ | 20 | 3 | 2 | 15 | 21-43 | 8 |

## I ლიგა

**გუშინ** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, XXIV ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს აბოვიანის „კოტაიკი“. მატჩი დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი დინამოელები და კემეროვოს „კუზბასი“. თამაშის შედეგია — 1:0 ბათუმელთა სასარგებლოდ.

## ზუგდიდის „დინამო“ ნახევარფინალში

**ბრძოლდება** საკავშირო თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის.

ასპარეზობაში წარმატებით გამოდის ზუგდიდის „დინამო“. მეოთხედფინალში ზუგდიდელები ქ. შევჩენკოს „ტრუდს“ შეხვდნენ, პირველი მატჩი სტუმრად ფრედ—1:1 დამთავრდა. საპასუხო შეხვედრა 6 აგვისტოს უნდა გამართულიყო, მაგრამ „ტრუდის“ ფეხბურთელები მატჩზე არ გამოცხადებულან. ზუგდიდის „დინამო“ ნახევარფინალში გავიდა.

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „ნარტი“ (ჩერკესკი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 4:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 1:0, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ტერმისტი“ (ბაქო) 5:0, „ყარაბაღი“ (აგდამი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 2:1, „ტორპედო“ (ვოლესკი) — „გოიაზანი“ (ყაზახი) 0:1, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „შევარდენი“ (თბილისი) 1:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „დილა“ (გორი) 1:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2, ომც (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:3, „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) 3:0.

## საქართველოს პირველობა

„არაგვი“ (დუშეთი) პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 0:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სიონი“ (ბოლნისი) 3:2, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სულორი“ (ვანი) 1:0, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მზიური“ (გალი) 3:5.

ქართული პრესა წერდა...

# უცნობი მატჩი

### ერთი ინფორმაცია ქართული ფეხბურთის ისტორიისთვის

**1922 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ დაიბეჭდა ცნობილი ქართველი ექიმ-ენდოკრინოლოგის, მთამსვლელისა და საზოგადო მოღვაწის სოსო (იოსებ) ახლანიშვილის წერილი „ფეხბურთელთა შეჯიბრება“.**

**ინფორმაცია ეხება საზოგადოება „შევარდენის“ პირველი და მეორე გუნდების, მეორე ტექნიკუმისა და კავკასიის რუსული პოლკის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრებს.**

**წერილში მოხსენიებულია რამდენიმე მოთამაშე: ფალავანდიშვილი, ბ. კულვიცი, კანდელაკი. მასში პირველად შეგვხვდა ტერმინი — თამაშთავი, რაც თანამედროვე გუნდის თავს, კაპიტანს მიესადაგება.**

**რამდენჯერმე აღნიშნული სიტყვა „განწევრი“ ნიშნავს განათლების წევრს (თვით საზოგადოება „შევარდენი“ თავიდანვე განათლების სახალხო კომისარიატს ეკუთვნოდა).**

**წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, დაწერილია თბილისის „დინამოს“ გუნდის შექმნამდე 6 წლით ადრე.**

„საქართველო თავის თავად სპორტის ქვეყანაა. ამას მოწმობს საქართველოს ბუნება, ამასვე მოწმობს ქართველი ხალხი. უძველეს დროიდანვე ვარჯიშობას საქართველოში დიდი გასავალი ჰქონდა. საქართველოს ისტორია არის ამის დამამოწმებელი. გადაშალეთ ჩვენი ერის ისტორიის ფურცლები, გადაავლეთ თვალი ჩვენს მწერლობას უძველეს დროიდან და დარწმუნდებით, რომ ტანვარჯიშობას საქართველოში საპატიო ადგილი ეჭირა. ჯირითი და ბურთაობა ხომ უძველეს დროიდან მთელი ხალხის ყურადღებას იპყრობდა. დღესაც ბევრ ადგილას შერჩენილია და წარსულ საუკუნოებმა გადმოგვცეს ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულების დამახასიათებელი დიდ დღესასწაულებში აღნიშნული ჯირითი და ბურთაობა, რომელშიც მთელი ხალხი იღებს მონაწილეობას. იმართება დიდებული სანახაობა. ლელობურთის თამაშში მონაწილეობას იღებენ ცხენოსნებიც, რაც თავის თავად დიდ ინტერესს აძლევს თამაშის საერთო მსვლელობას. შეჯიბრება იმართება სოფელსა და სოფელს შორის, სადაც მთელი ხალხი გატაცებული შეჯიბრების შედეგებით სავსებით ეწაფება ასეთ თამაშობას. ასეთი ჩვეულება ხალხში თუ კიდევ არის საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მცირეოდნათ დარჩენილი, ამის მიზეზი მრავალია, რასაკვირველია. ჩვენ აქ არ შეუდგებით ამ მიზეზების აღნუსხვას, აღვნიშნავთ მხოლოდ რომ ხალხში თამაშობათა აღდგენა და საერთოდ ტანვარჯიშობის შეტანა ხალხის ცხოვრებაში თავს იდვა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შევარდენმა და უკანასკნელ სამწლინახევრის განმავლობაში მან შესძლო კიდეც დაეჩნია თავისი დაღი მთელ ერის ცხოვრებისათვის. შევარდენი უკვე შეიჭრა ხალხის ფართო მასაში. მართალია ჯერჯერობით მის უმთავრეს ძალას წარმოადგენს ჯერ კიდევ ნორჩი ახალგაზრდობა, რომელიც მართლაც რომ მთავარი ძარღვია ჩვენი შევარდენის, მაგრამ სულ ახლო მომავალში შევარდენი დაიპყრობს ხალხის ფართო მასსებსაც, რომელიც თავის მხრივ, უკვე სავსებით გაცნობილია შევარდენის მნიშვნელობას.

ამ ცოტახანში უკვე რამოდენიმე შეჯიბრება მოხდა ფეხბურთელებს შორის და თვით შევარდენში ამ მხრივ გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს, ფეხბურთის გუნდები, რომელნიც იმყოფებიან ეგრედ წოდებულ მძლეოსანთა განწევრში, მართლაც დიდ მუშაობას ეწევიან. მიუხედავად ზამთრისა და სიცივეებისა, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, რომ შევარდენის ეზოში კვირაში ოთხჯერ სწარმოებს მძლეოსნების მეცადინეობა, როდესაც ბურთაობასთან ერთად შევარდნები იწვრთნებიან რბენაში, ხტუნაობაში, ბადროს ტყორცნაში და სხვ.

და სწორედ ამ მეცადინეობის შედეგად, ჩვენ გვაქვს შეჯიბრებები, რომელიც ხშირად სწარმოებს ხოლმე სხვა და სხვა ადგილას. უკანასკნელი შეჯიბრება გაიმართა კვირას (12 თებერვალს) სამხედრო სასწავლებლის ეზოში. შეჯიბრება დაიწყო 12 საათზე. პირველ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ შევარდენთა კავშირის მძლეოსანთა განწევრის მეორე გუნდი თამაშთავის ფალავანდიშვილის მეთაურობით და მეორე ტექნიკუმის ფეხბურთელთა გუნდი. შეჯიბრება დამთავრდა შევარდენის სასარგებლოდ 3:1.

მეორე შეჯიბრება შედარებით მეტი ყურადსაღები იყო, ვინაიდან აქ დაეჯახა უკვე ორი ძლიერი გუნდი: შევარდენთა კავშირის მძლეოსანთა განწევრის პირველი გუნდი თვით განწევრის უფროსის ბ. კულვიცის მეთაურობით და ცალკე კავკასიის ჯარის სამოსწავლო რუსის პოლკის ფეხბურთელთა გუნდი.

დასაწყისშივე შევარდენებმა გაიგდეს ბურთი, რომელსაც დიდის გაფაციცებით ედობბოდნენ წინ, მაგრამ შევარდენებმა შეაგდეს ბურთი მოწინააღმდეგეთა კარებში. მხოლოდ მეორეჯერ უკვე რუსებმა შევარდნებს გაუგდეს ბურთი და კიდეც შეუგდეს ბურთი, მიუხედავად იმისა, რომ მეკარე — კანდელაკმა რამოდენიმეჯერ უკუ აგდო ბურთი კარებიდან.

თამაში მაინც გაგრძელდა, რამაც საინტერესო ხასიათი მიიღო იმ მხრივ, რომ როგორც ერთი მხარე, ისე მეორე მხარე, მედგრად იცავდნენ და მასთანავე მოხელთებულ დროს ერეკებოდნენ კიდეც ერთი მეორეს, მაგრამ ბურთის გატანა მაინც არ მოხერხდა. დასვენების შემდეგ კვლავ ეკვეთენ ბურთს, მაგრამ გატანა ვერცერთ მხარემ ვერ შესძლო. დადგა გათავების დრო და შეჯიბრება დასრულდა უშედეგოთ ვისმეს სასარგებლოთ 1:1. საერთოდ, ასეთი შეჯიბრებები კარგ შთაბეჭდილებებს ახდენს, მაგრამ ინტერესი შეჯიბრებებისადმი საერთოდ ხალხში, ისეთ ქალაქში, როგორიც არის ტფილისი, ძლიერ ნაკლებია. შეიძლება ეს აიხსნებოდეს თანამედროვე ცხოვრების პირობებით, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ხალხი ასეთ შეჯიბრებებს ნაკლებ ესწრება. მაგრამ ეს გარდამავალია და ხალხი ახლო მომავალში თვით დარწმუნდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთოდ ასეთ შეჯიბრებებს ჩვენი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში“.

**გაზ. „ტრიბუნა“, 1922 წ. 23 თებერვალი.**

**პუბლიკაცია მოამზადა**
**სულიკო ნუცუბიძემ.**

### ძველ სისტემას დაუბრუნდნენ

1989-90 წლების სეზონიდან საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატში მოგებისთვის გუნდები ისევ 2 ქულას მიიღებენ და არა სამს, როგორც ეს 1988-89 წლების სეზონში იყო.

1991-92 წლების სეზონიდან პირველი დივიზიონის (ლიგის) მონაწილე გუნდების რიცხვი 20-დან თვრამეტამდე შემცირდება.

### თუმცა ლიგა დატოვა

წლეულს იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში საკმაოდ მოულოდნელი ამბავი მოხდა — პირველი ლიგა, ამ ქვეყანაში სერია „ა“ რომ ეწოდება, დატოვა მდიდარი ტრადიციების მქონე „ტორინომ“.

გუნდში დანიშნულმა ახალმა მწვრთნელმა ეუჯენიო ფაშეტიმ კლუბის მესვეურებს დაუყოვნებლივ აღუთქვა გაისად პირველ ლიგაში დაბრუნება და შეინარჩუნა წამყვან მოთამაშეთა ჯგუფი.

### პატიმრობა ორი წლით

მაისში გენუას ორი საფეხბურთო კლუბის — „ჯენოვასა“ და „სამპდორიას“ გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ. ამ მუშტიკრივის შემდეგ მრავალი გულშემატკივარი დაშავდა. იტალიის სასამართლომ გაარჩია ეს საქმე და 8 დამნაშავეს ორ-ორი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

### ინგლისში დარჩენა სურს

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ მოთამაშე არგენტინელ ფეხბურთელს ოსვალდო არდილესს მალე 40 წელი შეუსრულდება. იგი არ აპირებს ინგლისის დატოვებას, ოღონდ სურვილი გამოთქვა, რომ ამიერიდან იმუშავებს რომელიმე უფრო დაბალი კლასის გუნდში მოთამაშე-მწვრთნელად, თუკი, რა თქმა უნდა, სათანადო მსურველი გამოჩნდება.

### კრანკლი — „რაპიდის“ სათავეში

ახლო წარსულის გამოჩენილი ავსტრიელი ფეხბურთელი, 36 წლის ჰანს კრანკლი, სათავეში ჩაუდგა



ვენის „რაპიდს“. ამით დამთავრდა მისი, როგორც მოთამაშის კარიერა. კრანკლი გამოდიოდა „რაპიდში“, ზალცბურგის „აუსტრიაში“, „კრემსსა“ და „ბარსელონაში“ (ესპანეთი), წლების განმავლობაში ავსტრიის ნაკრების წამყვანი თავდამსხმელი იყო.

### 7 უცხოელი „ჟირონდაში“

როგორც ფრანგული პრესა იუწყება, ამჟამად საფრანგეთის „ჟირონდაში“ (ბორდო) არც მეტი, არც ნაკლები, 7 უცხოელი ფეხბურთელია, აქედან ზოგიერთი კარგად ცნობილია ევროპაში. ესენი არიან: შიფო (ბელგია), ალენი (ინგლისი), ოლსენი (დანია) და კალცი (გფრ). ახლა მათ კამერუნის ნაკრების მეკარე ბელიც დაემატა.

### განუყრელად მარადონასთან

როგორც ცნობილმა ბრაზ[illegible] ფეხბურთელმა კარეკამ გა[illegible] მას სურს თავისი კარიერის [illegible]მდე განუყრელად მარადონა[illegible] ერთად ითამაშოს.

— ჩვენი კონტრაქტი „ნაპოლისთან“ 1993 წლამდეა გათვალისწინებული. კარგი იქნება, თუ ჩვენ ამ კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ბრაზილიის „ბოტაფოგოში“ ან არგენტინის „ბოკა ხუნიორსში“ გავაგრძელებთ თამაშს.

### პრუცო აღარ ითამაშებს

ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა რობერტო პრუცომ, რომელიც სხვადასხვა დროს წარმატებით გამოდიოდა „ჯენოვაში“, „რომასა“ და „ფიორენტინაში, 34 წლის ასაკში გადაწყვიტა თავი დაანებოს თამაშს.

### ყველაზე ლამაზი გოლი

ფეხბურთის მოყვარულთა ბიბლიოთეკას ახალი წიგნი შეემატა. მექსიკაში გამოვიდა ფართოდ ილუსტრირებული გამოცემა „ყველაზე ლამაზი გოლი“, რომლის ავტორიც გახლავთ მსოფლიოში [illegible]ოდ ცნობილი ფეხბურთელი [illegible]უგო სანჩესი. ალბათ გახსოვთ, ამ მექსიკელმა 1986 წ[illegible] მსოფლიო ჩემპიონატში მა[illegible] [illegible]ამაზესი გოლი გაუტანა [illegible] ნაკრების მეკარეს. მაშინ მან ამ გოლისთვის სპეციალური პრიზიც კი მიიღო.

უგო სა[illegible] ჰყავს თანაავტორი. [illegible]ლავთ მექსიკელი ჟურნალის[illegible] ჟენასით ვილიახელი. წიგნი მოგვითხრობს ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოს ჩემპიონატებსა და სათასო შეხვედრებში გატანილ ყველა ლამაზ და პრემირებულ გოლზე.

საქართველოს პირველობა რუსულ შაშში



# ოსტატების ოჯახი შეავსო

**მეორე** წელია, რაც ტარდება საქართველოს ღია ჩემპიონატები შაშში. ახლახანს რუსთავში დამთავრებულმა ვაჟთა ღია ჩემპიონატმა ჩვენს რესპუბლიკას კიდევ ერთი ოსტატი შესძინა (1981 წლიდან რუსულ შაშში ოსტატი ჩვენთან არავინ გამხდარა).

და აი, საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის მეხუთეკურსელმა ლევან კიკნაძემ მოიპოვა რა პირველი ადგილი და ჩემპიონობა, სპორტის ოსტატიც გახდა. ლევანს ნორმატივი ადრეც ჰქონდა შესრულებული, მაგრამ საკავშირო ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის მიხედვით მის რეიტინგს (ინდივიდუალურ კოეფიციენტს) აკლდა 7 ქულა. ამ შეჯიბრებაზე მან მოიმატა 28 ქულა.

ტურნირში კიკნაძემ ნახევარი ქულით გაუსწრო რიგელ ოსტატს იანის კალნინშს, რომელიც საბჭოთა კავშირის 12 უძლიერესში შედის.

აგრეთვე კარგად ითამაშა კიდევ ორმა ქართველმა მოშაშემ — ალექსანდრე ბერუაშვილმა, რომლის აქტივშია მოგება კიდევ ერთ ჩვენს სტუმართან — რიგელ სპორტის ოსტატთან რუდოლფ ტომასთან. ბერუაშვილმა დაამტკიცა ოსტატის ნორმა.

ფოთელმა ზურაბ ხოფერიამ შეასრულა ოსტატის ნორმა და აიმაღლა რეიტინგიც.

ქალთა შეჯიბრება ვაჟების პირველობასთან ერთდროულად ტარდებოდა. კონკურენციის გარეშე იყო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მესამეკურსელი ლალი ჩომახიძე.

**ვ. ინწკირველი,**
**ჩემპიონატების მთავარი მსაჯი.**

## მილიონი დოლარი პოპულარიზაციისთვის

საბაიდარო ნიჩბოსნობისა და კანოეს საერთაშორისო ფედერაციამ მილიონი დოლარი გამოჰყო სანიჩბოსნო სლალომის, როგორც ფედერაციაში შემავალი დამოუკიდებელი სახეობის პოპულარიზაციისათვის. როგორც ცნობილია, ეს სახეობა შეტანილია ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

ევროპელთათვის სანიჩბოსნო სლალომი არც ისე უცხო ხილი გახლავთ, აი, დანარჩენი მსოფლიო კი მას ახლა ეუფლება. საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებაც იქითაა მიმართული, რომ ეს სპორტი დაინერგოს სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და აზიის ქვეყნებში.

## მუდმივმოქმედი კურსები

ფხენიანის კულტურის სახალხო სასახლეში მუშაობა დაიწყო მიუმხრობელი ქვეყნების სპორტის სპეციალისტთა მუდმივმოქმედმა კურსებმა, რომლის მიზანია მიუმხრობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში.

კურსების მუშაობაში მონაწილეობენ ალჟირის, ანგოლის, კუბის, ეთიოპიის, ინდოეთის, ინდონეზიის, ირანის, მალის, ნეაპოლის, შრილანკასა და ტოგოს წარმომადგენლები. მსმენელებს ლექციებს უკითხავენ სპორტის ცნობილი სპეციალისტები, ორგანიზატორები, მწვრთნელები და ხელმძღვანელი მუშაკები.

# „ბნელი ძალები" არაფერ შუაშია

## ანუ ერთი პასუხი „სპორტპროგნოზის" მოყვარულთა ორი ჯგუფის პრეტენზიებზე

**სპორტული** ლატარიების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოში ერთდროულად მოვიდა ორი წერილი: ერთის ავტორები არიან „სპორტპროგნოზის" ჭიათურელი მოყვარულები, მეორისა — თბილისელები. პირველ წერილს ხელს აწერს 25 კაცი, მეორეს —16.

ეს წერილები შინაარსით ძალზე ჰგავს ერთმანეთს. აი, რას წერენ ჭიათურელი მოყვარულები (სტილი დაცულია): **„ქ. ჭიათურაში მცხოვრებ სპორტპროგნოზის მოყვარულებს მიგვაჩნია, რომ სპორტპროგნოზის 25-ე, 29-ე ტირაჟების შეჯამებისას თავს იჩენდა „ბნელი ძალები" ე. წ. „ღვთაებრივი პროგნოზისტები", რომლებმაც შესძლეს ისეთი ანგარიშების ამოცნობა ფეხბურთში როგორიც არის დნეპრი — ცესკა 2:2 გასული წლის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა თავის მოედანზე ფრე ითამაშოს უფრო დაბალი ლიგის გუნდთან თავის მოედანზე და სსრკ-ში ეს ამოიცნოს 84 ვარიანტში ყოვლად შეუძლებელია. ასევე ამდენივე ვარიანტში ამოცნობილი ყოფილიყო ტორპედო ქუთაისის მოგება — ასკ კარპატთან ლვოვში. ან უმაღლესი ლიგის პამირი დუშანბეს წაგება პირველი ლიგის გუნდთან ტაშკენტის „პახტაკორთან" 0:3 თავის მოედანზე. თუ ეს დარღვევები საქართველოში ხდება თქვენ უნდა უზრუნველყოთ მისი აღმოფხვრა (23 ივლისის ლელოში არ არის მითითებული რამდენმა ამოიცნო საქართველოდან. თუ იგი ზემოდან მოდის საჭიროა რეაგირება, რათა ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვოს ნამდვილმა მცოდნე მოყვარულმა. თუ ეს ასე გაგრძელდა რწმენას გამოვთქვამთ ჭიათურაში, საჩხერეში, ზესტაფონში და მის ახლო-მახლო ქალაქებში სპორტპროგნოზში არავინ მონაწილეობას არ მიიღებს.**

**1. თ. ბურჯანაძე, 2. ლ. ფურცხვანიძე, 3 ვ. ჯაფარიძე, 4. ჯ. ვარდოსანიძე... (სულ 25 ხელმოწერა)."**

დაახლოებით ამავე პრეტენზიას აყენებს თბილისში, პავლოვის ქუჩაზე მცხოვრებ „სპორტპროგნოზის" მოყვარულთა თექვსმეტკაციანი ჯგუფიც. გარდა ამისა, ამ წერილის ავტორების შეხედულებით, **„საჭიროა გადაიხინჯოს მოგებულ თანხათა განაწილების დებულება"**, რადგანაც, მათი აზრით, იმ შემთხვევაში, როდესაც ტირაჟში მოგება პატარაა, **„რახაკვირველია 1 მან ან 40 კაპიკის მისაღებად არავინ არ წავა შემნახველ სალაროში, ასეთი 1 მანეთისა და 40 კაპ. ერთობლიობა, საერთო ჯამში დიდ თანხას აღწევს, საკითხავია ეს ხომ არავის აწყობს ახე?"** მოთამაშეთა ეს ჯგუფი გვთავაზობს, რომ უნდა შეიცვალოს დებულება და მოგება 13, 12 და 11 შედეგის გამოცნობისთვის გახდეს მყარი. წერილის ავტორები აქვე დასძენენ:

**„აქ ალბათ წინააღმდეგობა ის არის, რომ ეს დებულებები სსრკ სპორტკომიტეტის დებულებაა. მაშინ ჩავატაროთ ასეთივე ღონისძიება მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში..."**

ეს წერილიც, ჭიათურელთა წერილის მსგავსად, საკმაოდ კატეგორიული ტონით მთავრდება: **„პასუხს თქვენგან ველით მხოლოდ და მხოლოდ გაზეთ ლელოს საშუალებით უახლოეს ნომერში. წინააღმდეგ შემთხვევაში დაწვრილებით მიმოხილვით წერილს გამოვაქვეყნებთ, რომელიმე საკავშირო გაზეთში (?!), ამასთანავე მოვუწოდებთ ყველას შეწყვიტოს სპორტპროგნოზში მონაწილეობა, რაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს დღევანდელ საჯაროობისა და გარდაქმნის პერიოდში".**

ერთი სიტყვით, მოსალოდნელია „სპორტპროგნოზის" ჭიათურელ და თბილისელ მოყვარულთა ნაწილის „ბუნტი". ამის თავიდან ასაცილებლად შევეცდებით ნაწილობრივ მაინც გავცეთ პასუხი წერილებში დასმულ შეკითხვებს და ცოტათი მაინც „განვმუხტოთ" დაძაბულობა.

დავიწყოთ თავიდან. ორივე წერილში ნახსენებია 29-ე ტირაჟში მე-11 წყვილის დნეპროპეტროვსკის „დნეპრისა" და მოსკოვის ცსკა-ს შეხვედრა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში. როგორც ცნობილია, ეს თამაში ფრედ — 2:2 დამთავრდა. სწორედ ამ ანგარიშმა გამოიწვია ძირითადად წერილების ავტორთა გულისწყრომა. მოდით, თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ ფეხბურთი ფეხბურთია და აქ, მით უმეტეს სათასო მატჩში, ამაზე მოულოდნელ შედეგებსაც შევხვედრივართ. რაც შეეხება იმას, რომ ეს შედეგი 84 კაცმა გამოიცნო მთელს საბჭოთა კავშირში, არამც და არამც არ შეიძლება მივაწეროთ „ბნელ ძალებს". კაცია და გუნება, უნდა ერთ გუნდს მისცემს უპირატესობას, უნდა — მეორეს, უნდა — თანაბრად გაყოფს თავის სიმპათიებს. ასე რომ, ჩვენი აზრით, ამაში ვინმეს და რამეს დადანაშაულება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

რაც შეეხება ზოგიერთ ტირაჟში მოგებული თანხის სიმცირეს, ვნახოთ, რა წერია ლატარია „სპორტპროგნოზის" გათამაშების დებულებაში: „მოგებათა გასანაღდებლად გამოიყოფა მოცემულ ტირაჟში მონაწილე ბილეთების საერთო ღირებულების 50 პროცენტი.. მოსაგები ფონდი იყოფა სამ ჯგუფად, გამოცნობილი შედეგების რაოდენობის მიხედვით: I ჯგუფი — 13 გამოცნობილი შედეგი — ფონდის 10%, II ჯგუფი — 12 გამოცნობილი შედეგი — ფონდის 20%; III ჯგუფი — 11 გამოცნობილი შედეგი — ფონდის 70%.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველ მოთამაშეს შეუძლია ძალზე ადვილად გამოითვალოს მოგებული თანხის სისწორე და დარწმუნდეს, რომ „ბნელი ძალები" აქ არაფერ შუაშია.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ მოთამაშეთა ნაწილი არ აკითხავს შემნახველ სალაროებს მცირე მოგებების გასანაღდებლად, დებულების თანახმად, ეს დარჩენილი თანხა თამაშდება სარეზერვო მოსაგებ ფონდში. ასე რომ, ყოველგვარი უპატიოსნობა აქაც გამორიცხულია.

თბილისელ მოყვარულთა წინადადებაზე: „...ჩავატაროთ ასეთივე ღონისძიება ჩვენს რესპუბლიკაში..." საქართველოს სპორტული ლატარიების სამმართველოს პასუხი ერთგვაროვანია: რესპუბლიკის მასშტაბით თამაში არ უნდა იყოს გამართლებული, რადგანაც ბილეთების რეალიზაციით მიღებული თანხა მცირე იქნება. აქედან გამომდინარე, ძალზე მცირე აღმოჩნდება მოსაგები ფონდიც.

და ბოლოს, რედაქცია თხოვნით მიმართავს „სპორტპროგნოზისა" და „სპორტლოტოს" მოყვარულებს, რომ ნუ მოითხოვენ თავიანთ შეკითხვებსა და პრეტენზიებზე პასუხის დაბეჭდვას „ლელოს" ფურცლებზე, რადგანაც გაზეთი არ არის სპორტული ლატარიების სამმართველოს ორგანო და ეს უკანასკნელი ყოველ თავის განცხადებაში იხდის გარკვეულ თანხას, რაც „მძიმე ტვირთად" აწვება სამმართველოს.

# ქაი ყმის მოსაგონარი

აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ჩვენმა გუნდმა — დავკარგეთ ვახტანგ ჯაფარიძე.

ჩვენგან წავიდა ნამდვილი კაცი, ერთგული მეგობარი, ალალ-მართალი და ვაჟკაცური ადამიანი, მისმა დაღუპვამ მარტო ახლობლები და ნათესავები კი არ დაამწუხრა, არამედ ყველა, ვინც ვახტანგს იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

სამართლიანი ბიჭი იყო, ერთგული, პირიანი, ამიტომ ყველა ენდობოდა გუნდში. მთელი გუნდის მეგობარი იყო, ყველას უნაწილებდა ალალი გულის სითბოს. მისი ეს ხასიათი შეჯიბრებებზეც ვლინდებოდა. პირადი პირველობა იქნებ წაეგო, მაგრამ, როცა გუნდის ინტერესზე მიდგებოდა საქმე, მცირე შეღავათის უფლებასაც არ აძლევდა თავს, თავგანწირვით, ბოლომდე იბრძოდა.

საერთოდ, ტატამზე უკომპრომისო მწვავე ჭიდაობა იცოდა, ოღონდ ცოტა უიღბლო იყო. ბევრ მაღალი რანგის შეჯიბრებაში ასე დაკარგა გამარჯვება და საპრიზო ადგილებს სჯერდებოდა, მაგრამ ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში მაინც გაიმარჯვა, სამჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული პირველობა, ყველას აჯობა IX საკავშირო სპარტაკიადაზე.

საუკეთესო ადამიანურ თვისებებთან ერთად ბუნებით უხვად ჰქონდა მომადლებული ფალავნის ნიჭი, მართლაც იშვიათი ნიჭი, რომლის გამობრწყინებაც კიდევ ბევრჯერ გაგვახარებდა, ეს ტრაგიკული შემთხვევა რომ არ მომხდარიყო: ვახტანგი ხომ ჯერ 22 წლისაც არ იყო...

სვანეთზე შეყვარებული იყო, სულ გვეპატიჟებოდა თანაგუნდელებს, ამოდით, ნახეთ, რა კუთხეში ვცხოვრობო.

წავიდა და მთელი გუნდის სიყვარული წაიყოლა თან...

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების სახელით: კობა კურტანიძე, აკაკი კიბორძალიძე, ლერი ნაკანი, ვალერი პარუნაშვილი, გიორგი თენაძე, ანზორ თენაძე, ვლადიმერ დგებუაძე.**



# პირველად ევროპაში

ქალები სულ უფრო მტკიცედ და დაჟინებით იჭრებიან მამაკაცთა მოვალეობებში და ხშირად მათ სპორტის სახეობებსაც „ართმევენ". ძიუდო, თანამედროვე ხუთჭიდი და ფეხბურთი ქალებმა კარგა ხანია რაც გაითავისეს. ახლა მათ ძალოსნობაშიც შეუტიეს და საკმაოდ წარმატებითაც.

წელს, ნოემბერში ინგლისის ქალაქი მანჩესტერი ქალთა მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში მოელიან 25 ქვეყნის ასზე მეტი ძალოსნის მონაწილეობას. ჩემპიონატის მთავარ ფავორიტებად ამერიკელი და ჩინელი სპორტსმენები მიაჩნიათ. ფიქრობენ, რომ მათ ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის, პირველ ყოვლისა კი ინგლისის ძალოსნები. აღსანიშნავია, რომ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ევროპაში პირველად ჩატარდება.

# საავტომობილო სპორტის სიახლეები

## პროსტი ემშვიდობება მაკლარენს

**მსოფლიოს** ექსჩემპიონი „ფორმულა 1" ავტომობილებით რბოლაში, ფრანგი ალენ პროსტი ტოვებს „მაკლარენის" გუნდს.

„ექვსი ფანტასტიკური წელი გავატარე „მაკლარენში" — განაცხადა პროსტმა, — მიუხედავად განშორებისა, ჩვენ მაინც მეგობრებად ვრჩებით. „მაკლარენსა" და ალენ პროსტს შორის პრობლემები არასდროს არ ყოფილა".

„მაკლარენის" შეფმა რონ დენისმა დაადასტურა ეს სიტყვები: „გუნდისა და მრბოლის განშორება მეგობრული, მაგრამ აუცილებელი აქტია".

წლევანდელი სეზონის ბოლომდე პროსტი „მაკლარენში" დარჩება. ფრანგმა პილოტმა ჯერ არ იცის, რომელი „ავტოსაჯინიბოს" ღირსებას დაიცავს მომავალში. თავად პროსტი უარყოფს ფრანგულ გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობას იმის თაობაზე, თითქოს იგი „უილიამსთან" აპირებს კონტრაქტის დადებას. გაზეთები არ გამორიცხავენ იმასაც, რომ პროსტმა შეიძლება საკუთარი „გუნდი" შექმნას. „მაკლარენიდან" მის წასვლას კი ერთგვაროვნად ხსნის ყველა — პროსტი და ბრაზილიელი აირტონ სენა შეზღუდულად გრძნობენ თავს ერთ გუნდში.

## იტალიის „გრან პრი" — მონცაში

**ქალაქ** მონცაში გაიმართება „ფორმულა 1" ავტომობილებით რბოლის იტალიის „გრან პრის" გათამაშება — ასე განაცხადეს შეჯიბრების ორგანიზატორებმა. საქმე ისაა, რომ ადრე ამ ავტოდრომს არაერთი პრეტენზია წაუყენეს უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ახალი ბოქსები, რომელთა აშენების წინააღმდეგი იყვნენ ადგილობრივ „მწვანეთა" პარტიის წარმომადგენლები, აგვისტოს ბოლოსთვის იქნება მზად.

რბოლა, როგორც დაგეგმილი იყო, 10 სექტემბერს გაიმართება.

## მხოლოდ 37 წამი

**ინგლისელებმა** ჰენრი პერმენმა და გორდონ კრეიკშანკმა, რომლებიც „იაგუარ-ე 2"-ით ასპარეზობდნენ, გაიმარჯვეს „პირელის" კლასიკურ მარათონში. 3000 კილომეტრიანი ტრასა ლონდონის ტაუერთან იწყება და მთავრდება იტალიის კურორტ კორტინა დ' ამპეცოში. ამ მრბოლებმა დისტანცია 7 დღე-ღამეში გაიარეს და მხოლოდ 37 წამით გაუსწრეს თანამემამულეებს — დევიდ ტომპსონსა და ედი შანდერტონს, რომლებიც „ფორდ-ლოტუს-კორტინათი" ასპარეზობდნენ.

## ლიდერობს ჩემპიონის ვაჟი

**გერი ბრებჰემი.** „ფორმულა 1"-ში მსოფლიოს ექსჩემპიონის სერ ჯეკ ბრებჰემის ვაჟი ლიდერობს „ფორმულა 3000"-ით ასპარეზობებში. ბოლო გამარჯვება მან ბრენდსპეტჩში მოიპოვა.

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს" 1989 წლის მორიგი, 32-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 3 (ბობსლეი), 4 (კრივი), 11 (ფრენბურთი), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 6 (ძიუდო), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 29 (სასტენდო სროლა).

**რედაქტორი — თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10460